საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/608

ქ. ბათუმი 18 ------ ოქტომბერი, 2021 წ.

,,2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 28 სექტემბრის №01–08/531 ბრძანებაში დამატებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის" 39-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის" 39-ე მუხლის, ,,კოეფიციენტით რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ იმ აბიტურიენტთათვის, რომლებმაც 2021 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვეს ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება" საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს №113/21 ბრძანების, ,,2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' 2021 წლის 01 სექტემბრის №01-02/145 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 06 აგვისტოს №06-01/80 დადგენილების, ,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 6 სექტემბრის N07-01/149 გადაწყვეტილების, ,,2021 წლის ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგად ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული ზოგიერთი პირისათვის ბსუ-ში რეგისტრაციისას შეღავათის მინიჭების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N07-01/51 გადაწყვეტილების, თორნიკე დევაძის 2021 წლის 08 ოქტომბრის MES 7 21 0001062695, თორნიკე თურმანიძის 2021 წლის 12 ოქტომბრის MES 3 21 0001077325 და რაინდი შალიკაშვილის 2021 წლის 30 სექტემბრის MES 0 21 0001005943 განცხადებების, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 14 ოქტომბრის MES 3 21 0001088332 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 28 სექტემბრის №01–08/531 ბრძანების **დანართებში** შევიდეს დამატებები, კერძოდ:

ა) ბრძანების დანართ №2-ს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სტუდენტთა სიას დაემატოს 147-ე გრაფა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	ხელშეკრულების ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)
147.	დევაძე თორნიკე	(	N23-15/230-2101/ს	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადება

ბ) ბრძანების დანართ №5-ს, ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა სიას დაემატოს 111-ე გრაფა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	ხელშეკრულების ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)
111.	თურმანიძე თორნიკე		N26-15/158-2106/ბ	აგრარული ტექნოლოგიები

გ) ბრძანების დანართ №6-ს, ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტთა სიას დაემატოს 148-ე გრაფა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	ხელშეკრულების ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)
148.	შალიკაშვილი რაინდი		N25-15/190-2105/ბ	ტურიზმი

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

3. წინამდებარე ბრძანება გაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე), ასევე განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (სასწავლო პროცესის მიმართულებით), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**